საგაზეთო ჩანართი

ინტელექტი

ნაბიჯ-ნაბიჯ რეალური თვითმმართველობისაკენ

№1 / 2010

„ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ – ახალი პროექტი, ახალი გამოწვევები

ლევან გოგაძე

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტი“ ახალი პროექტის – „ჩვენი არჩევანი რეალური თვითმმართველობა“ განხორციელება 2009 წლის ნოემბერში დაიწყო. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის მხარდაჭერით.
პროექტი აჭარის რეგიონის 5 მუნიციპალიტეტს – ხულო, შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი მოიცავს და 2011 წლის თებერვლამდე გაგრძელდება.

აღნიშნული პროექტი მეოთხეა, რომელსაც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი არჩევნებთან დაკავშირებით ახორციელებს. 2002, 2003 და 2006 წლებში პროექტების წარმატებულად განხორციელების შემდეგ კავშირმა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების, მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის გაზრდის და არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარების მიზნით კიდევ ერთი პროექტი შეიმუშავა, რომლის მიზნებზე და ამოცანებზე თავად პროექტის ავტორი და ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტის“ გამგეობის თავმჯდომარე – ლევან გობაძე ისაუბრებს:

– ბატონო ლევან, საიდან წარმოიშვა პროექტის – „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ შემუშავების იდეა და რა არის პროექტის მთავარი მიზანი?

– პროექტი „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ წარმოადგენს კავშირი „ინტელექტი“-ს მიერ 2006 წლის შემდეგ აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტებში განხორციელებული პროექტების ლოგიკური გაგრძელებას. ამ საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იყო თვითმმართველობის პროცესებში მოსახლეობის ჩართულობის მიღწევა, ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება და მათი პრაქტიკაში დანერგვა.

თვითმმართველობის პროცესებში მოსახლეობის მონაწილეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს მუნიციპალიტეტის საკრებულო წარმოადგენს. საკრებულოს წევრი, რომელსაც თემის მოსახლეობა ირჩევს, ანგარიშვალდებულია თავისი ამომრჩევლების წინაშე. საკრებულოს წევრი თავის საქმიანობას უნდა ახორციელებდეს მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე. მისი საქმიანობა პირდაპირ უნდა აისახებოდეს თვითმმართველობის აღმასრულებელი შტოს – გამგეობის ყველა საქმიანობაში – ბიუჯეტების დაგეგმვა, სოციალური პოლიტიკა, მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარება და სხვა.

სამწუხაროდ, როგორც 2006 წლის შემდეგ განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა, საკრებულოები ვერ იქცნენ იმ ძალად, რომელიც შესძლებდა მოსახლეობის რეალური ინტერესების გატარებას და თვითმმართველობის პროცესებში მათი თანამონაწილეობის უზრუნველყოფას.

არსებული სიტუაციის გამომწვევი მიზეზები ბევრია. ერთ-ერთ მთავარი მიზეზს კი მოსახლეობის დაბალი სამართლებრივი ცნობიერება წარმოადგენს. მოსახლეობა ნაკლებად ფლობს ინფორმაციას საკრებულოს დანიშნულების, საკრებულოს წევრის ფუნქციების შესახებ. თუ თავად მოსახლეობა არ იქნება მომთხოვნი საკრებულოს თითოეული წევრის მიმართ, საკრებულოები ყოველთვის დარჩებიან უფუნქციო ორგანოებად.

– რა ეტაპებს მოიცავს პროექტი და საქმიანობები განხორციელდება პროექტის მიზნების მიღწევისათვის?

– პროექტი მრავალსაფეხურიანია. ყოველი მომდევნო საფეხური იწყება წინას დასრულების შემდეგ და მიღებულ შედეგებს ემყარება. პირველ ეტაპზე განხორციელდება მასობრივი კამპანია თემების მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის გაზრდისათვის. ამისათვის რეგიონის 63 თემში 93 განმანათლებელი იმუშავებს.

მეორე ეტაპზე განხორციელდება საკრებულოს წევრების კანდიდატების და თემების მოსახლეობის შეხვედრების ორგანიზება. ჩვენი სურვილია, საკრებულოს წევრობის ყველა კანდიდატმა ხელი მოაწეროს „კარგი მმართველობის დეკლარაციას“, რომელშიც გადმოცემული იქნება საკრებულოს წევრობის კანდიდატების წინასაარჩევნო დაპირებები. „კარგი მმართველობის დეკლარაცია“ იქნება დოკუმენტი, რომელიც ჩამოყალიბდება საკრებულოს წევრობის კანდიდატებისა და თემების მოსახლეობის შეხვედრებზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსახლეობის წინაშე საკრებულოს წევრობის კანდიდატების პასუხისმგებლობის ამაღლებას, ასევე გარკვეული „ქცევის წესების“ ჩამოყალიბებას, რომელთა საშუალებითაც შემდგომში შესაძლებელი იქნება საკრებულოს ყოველი კონკრეტული წევრის საქმიანობის მონიტორინგის განხორციელება და მისი საქმიანობის შეფასება.

მონიტორინგი – ეს საქმიანობის უკვე მესამე საფეხურია, რომელიც არჩევნების შემდეგ განხორციელდება და საშუალებას მისცემს თემების მოსახლეობას თვალნათლივ დაინახოს თავისი არჩევანის სისწორე ან მცდარობა.

პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს თემებში ჩასატარებელი კონკურსები. კონკურსების მიზანია თემის მოსახლეობას შევუქმნათ დამატებითი მოტივაცია თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკითხებით დაინტერესებისათვის.

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად. პირველ ეტაპზე კონკურსები გაიმართება სამიზნე მუნიციპალიტეტის თემებში (სულ 63 თემი). თემებში გამართულ კონკურსებში 1, 2 და 3 ადგილებზე გასული ადამიანები მონაწილეობას მიიღებენ მუნიციპალიტეტებში გამართულ კონკურსებში. მუნიციპალიტეტის შემდეგ ჩატარდება რეგიონალური კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლებათ მუნიციპალურ კონკურსებში 1, 2 და 3 ადგილებზე გასული მონაწილეებს.

მუნიციპალურ და რეგიონალურ კონკურსებში გამარჯვებულები მიიღებენ ფასიან საჩუქრებს. ანალოგიური ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდებიან ასევე ის ადგილობრივი განმანათლებლებიც, რომლებიც გამარჯვებული კონკურსანტის თემს წარმოადგენენ.

ახლადარჩეული საკრებულოს წევრებისათვის ჩატარდება ტრენინგები, რომელებიც მიმართულია საკრებულოების ინსტიტუციონალური და მართვის შესაძლებლობების გაძლიერებისაკენ, საკრებულოს წევრებსა და მოსახლეობას შორის ურთიერთქმედების, კომუნიკაციისა და უკუკავშირის ეფექტური სისტემების დანერგვისაკენ.

პროექტის რეალიზაციის ამ ეტაპზე განსაზღვრული არ არის ტრენინგების თემატიკა. თემატიკა და ტრენინგების ხანგრძლივობა განისაზღვრება ყოველი სამიზნე მუნიციპალიტეტისათვის ინდივიდუალურად, არჩევნების დასრულების, საკრებულოების დაკომპლექტების და შესაბამისი კომისიების ჩამოყალიბების შემდეგ.

– თქვენი აზრით, პოლიტიკური პარტიები წამოვლენ თანამშრომლობაზე და „კარგი მმართველობის დეკლარაციას“ ხელს მოაწერენ?

– ვფიქრობ, ეს პოლიტიკური პარტიების ინტერესშიც დევს. რაც უფრო უკეთესად წარმოაჩენს ესა თუ ის პარტია თავის წინასაარჩევნო პლატფორმას და მოსახლეობას შესთავაზებს უკეთეს ხედვებს, მით უფრო მეტი მხარდამჭერების მოპოვებას შესძლებს.

ჩვენ არ ვერევით არც ერთი პარტიის ან კანდიდატის პლატფორმის თუ ხედვების ფორმირების პროცესებში. ჩვენთვის მთავარია შევძლოთ მივაწოდოთ ეს ინფორმაცია მოსახლეობას უშუალოდ საკრებულოს კანდიდატების საშუალებით, კონსტრუქციული დიალოგის ფორმატში. მოსახლეობა თვითონ გააკეთებს არჩევანს, ვისი ხედვებია უკეთესი და ვისი არა. მთავარია არჩევნების შემდეგ ყოველმა კანდიდატმა შეასრულოს მოსახლეობისთვის მიცემული პირობა.

– როგორ ფიქრობთ, იქნება თუ არა მიიღწეული პროექტით გათვალისწინებული შედეგები და როგორ აპირებთ ამას?

– თუ ჩვენ ვსაუბრობთ პროექტით დათვალისწინებულ საქმიანობაზე, რა თქმა უნდა ჩვენ მას სრულად შევასრულებთ და ის შედეგები, რასაც პროექტის საქმიანობები ითვალისწინებს, აუცილებლად დადგება.

თუ კითხვას ხედავთ სხვა კუთხით – მოახდენს თუ არა პროექტით გათვალისწინებული საქმიანობები თვითმმართველობის არჩევნებზე ზეგავლენას, მე ვფიქრობ, რომ მოახდენს. ინფორმირებული, პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოება შესძლებს გაკეთოს შეგნებული არჩევანი – აირჩიოს საკრებულოში ისეთი ადამიანები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან ამომრჩევლების წინაშე და შესძლებენ მათი ინტერესების რეალურად დაცვას.

„ინტელექტი“ აჭარის მუნიციპალიტეტების თემებში 93 ადამიანს დაასაქმებს

ორ თვეზე მეტია ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს თემებსა თუ სოფლებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე, გამოჩნდა აფიშები ნარწერით: „ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ აცხადებს კონკურსს ადგილობრივი განმანათლებლების შესარჩევად“. აფიშებიდანვე გასაგები იყო, რომ ადგილობრივ განმანათლებლების მთავარ ფუნქციას წარმოადგენს მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, მცირე ჯგუფებთან საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრების ჩატარება, სადაც განხილული იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის და საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული საკითხები, აგრეთვე თვითმმართველობის პროცესებში მონაწილეობის აუცილებლობა და ა.შ.

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“-ს იურისტის – იამზე შავაძის განცხადებით, პროექტის „ჩვენი არჩევანი-რეალური თვითმმართველობა“ ფარგლებში აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის 63 თემში

კონკურსის წესით შერჩეული იქნა 93 ადამიანი, რომელიც „ინტელექტის“ მიერ დასაქმდება 2 თვით. თითოეულ თემში შერჩეული განმანათლებლების რაოდენობა დამოკიდებულია კონკრეტულ თემში მოსახლეობის რაოდენობაზე. მოსახლეობის რაოდენობა, რომელთანაც იმუშავებს თითო განმანათლებელი საშუალოდ შეადგენს 400-500 ადამიანს. (თითოეული განმანათლებელი მცირე ჯგუფებთან საშუალოდ 36-49 შეხვედრას ჩაატა-

გაგრძელება შემდეგ გვერდზე

„ინტელექტი“ აჭარის მუნიციპალიტეტების თემებში 93 ადამიანს დააასაქმებს

რებს. მცირე ჯგუფები შერჩეული იქნება ისე, რომ საგანმანათლებლო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღოს თითოეული ოჯახიდან ერთმა წარმომადგენელმა მაინც. მცირე ჯგუფი უნდა მოიცავდეს 9-11 ადამიანს)

„კონკურსი ჩატარდა სამ ეტაპად. პირველი ეტაპზე კანდიდატები შერჩეული იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ანუ რამდენად აკმაყოფილებდა ის საკონკურსო მოთხოვნებს (კონკურსის მთავარი მოთხოვნებია იყო: კონკურსანტი უნდა ყოფილიყო პარტიულად მიუკერძოებელი და არ უნდა ეწეოდეს პარტიულ საქმიანობას. უნდა ჰქონოდა უმაღლესი განათლება, სრულყოფილად ფლობდეს სახელმწიფო ენას და უნდა ცხოვრობდეს სამიზნე თემში. ავტ.).

მეორე ეტაპზე კონკურსანტებს ჩაუტარდათ ტესტირება, რითაც შემოწმდა კონკურსანტის ცოდნა თვითმმართველობის და საარჩევნო სისტემის საკითხებთან დაკავშირებით და ლოგიკური აზროვნება. ტესტების 50%-ზე სწორი პასუხის გაცემის შემდეგ კონკურსანტი გადადიოდა მესამე ეტაპზე – გასაუბრება, რომლითაც შემოწმდა მათი ზოგადი უნარ-ჩვევები, კომუნიკაბელობა და პიროვნული თვისებები (ანუ ტრენერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები). სამიზნე მუნიციპალიტეტების თემებში საბოლოოდ შერჩეულ ყველა კანდიდატს ჩაუტარდებათ ტრენინგები“ - აცხადებს იამზე შავაძე.

დღეისთვის ჩვენს ქვეყანაში მუსირებს აზრი, რომ ყველა კონკურსი ფიქტიურ სახეს ატარებს და სწორედ ამიტომ მოსახლეობა ნაკლებად ენდობა კონკურსებს. გამომდინარე აქედან, ჩნდება კითხვა: რამდენად ობიექტურად ჩატარდა ზემოთხსენებული კონკურსი, რომელზეც კავშირი „ინტელექტის“ იურისტი გვპასუხობს: „კონკურსთან დაკავშირებით თემებში გამართულ საინფორმაციო შეხვედრებზე და ოფისში შემომავალი ზარების ავტორთა უმრავლესობას ეგ კითხვა ანუხებდა, თუმცა შემიძლია თამამად ვთქვა, რომ კონკურსის ობიექტურად ჩატარება ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირის პრიორიტეტს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის საქართველოში მიმდინარე კანონმდებლობა ორგანიზაციას არ ავალდებულებს კონკურსის ჩატარებას, (სრულიად საკმარისი იქნებოდა ჩვენთვის სასურველ პიროვნებასთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ეს საკითხი კანონმდებლობით არ შეძლება გამხდარიყო სადავო) „ინტელექტმა“ გადწყვიტა მიეღო „ადგილობრივი განმანათლებლების შერჩევის საკონკურსო კომისიის დებულება“ რომლითაც ორგანიზაციამ კონკურსის ვალდებულება აიღო და კონკურსი დებულებაში გაწერილი წესის მიხედვით ჩატარა (საკონკურსო კომისიის დებულება შეგიძლიათ იხილოთ ორგანიზაციის ვებგერდზე www.intellect.org.ge ავტ.). „ინტელექტს“ ჭირდება აქტიური, მოტივირებული, კომუნიკაბელური, განათლებული და ავტორიტეტული ადამიანები, რომლებიც წარმართავენ საგანმანათლებლო კამპანიას საკუთარ თემებში. თუ ამ კრიტერიუმებს რომელიმე თემში კონკურსანტი ვერ დააკმაყოფილებს, იმ თემში ჩატარდება განმეორებითი კონკურსი (განმეორებითი კონკურსი გაიმართა ოჩხამურის, დაბა ჩაქვის, გვარას და ციხისძირის თემებში).

|იამზე შავაძე

თავიდანვე მოსახლეობის დაბალმა აქტიურობამ განაპირობა ის, რომ სასურველი რაოდენობის განმანათლებლები ვერ შეირჩა, თუმცა აღნიშნულ თემებში ხელმეორედ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, უფრო მეტ ადამიანს მივაწოდეთ ინფორმაცია კონკურსის შესახებ და საბოლოოდ სასურველ შედეგს მივაღწიეთ.

კონკურსის გამოცხადების შემდეგ ორგანიზაციაში 400-მდე განაცხადი შემოვიდა, თუმცა მათგან მხოლო 93 საუკეთესო შეირჩა. საბოლოოდ, ხუთივე მუნიციპალიტეტში ავირჩიეთ ისეთი ადამიანები, რომლებიც ვფიქრობ, პასუხისმგებლობას გამოიჩენენ და შეეცდებიან მაქსიმალურად იქნას მიღწეული პროექტის მთავარი მიზანი: მოსახლეობის ინფორმირებულობის და ჩართულობის გაზრდა თვითმმართველობის საკითხებში.

აჭარის რეგიონის ხუთი მუნიციპალიტეტის 93 განმანათლებლების რაოდენობა და ვალდებულებები, რომლებიც სამიზნე თემების მოსახლეობასთან ჩატარებენ საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრებს გადანაწილდა თემში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. პროექტით გათვალისწინებულია, რომ თითოეულ თემში საგანმანათლებლო შეხვედრაში მონაწილეობა უნდა მიიღოს აქ მცხოვრები ოჯახების 2/3-მა:

სწორედ ამიტომ, ქობულეთის მუნიციპალიტეტის 19 თემში იმუშავებს 26 განმანათლებელი:

ქობულეთის მუნიციპალიტეტი			
თემი	პროექტით მოცული ოჯახების რაოდენობა	მცირე ჯგუფების რაოდენობა	განმანათლებლების რაოდენობა
ორხამური	670	61	2
დაბა ჩაქვი	1349	123	3
ალამბარი	368	33	1
აჭყვისთავი	189	17	1
ბობოყვათი	492	45	1
გვარა	162	15	1
დაგვა	427	39	1
ზენითი	131	12	1
კვირიკე	731	66	2
ლელვა	537	49	2
მუხაესტატე	445	40	1
საჩინო	429	39	1
ქაქუთი	267	24	1
სოფ. ქობულეთი	493	45	1
ჩაისუბანი	416	38	1
ციხისძირი	725	66	2
ჭახათი	144	13	1
ხალა	468	43	1
ხუცუბანი	778	71	2

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 13 თემში – 29 განმანათლებელი:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი			
თემი	პროექტით მოცული ოჯახების რაოდენობა	მცირე ჯგუფების რაოდენობა	განმანათლებლების რაოდენობა
დაბა ხელვაჩაური	819	74	2
მახინჯაური	1295	118	3
აჭარისწყალი	218	20	1
ახალშენი	1147	104	3
გონიო	961	87	2
თხილნარი	1229	112	3
კახაბერი	1087	99	3
კირნათი	220	20	1
მაჭახელა	367	33	1
ორთაბათუმი	1272	116	3
სარფი	127	12	1
ურეხი	1430	130	3
შარაბიძეები	1388	126	3

ქედის მუნიციპალიტეტის 9 თემში – 9 განმანათლებელი

ქედის მუნიციპალიტეტი			
თემი	პროექტით მოცული ოჯახების რაოდენობა	მცირე ჯგუფების რაოდენობა	განმანათლებლების რაოდენობა
დაბა ქედა	491	45	1
დანდალო	349	32	1
ზვარე	200	18	1
მახუნცეთი	452	41	1
მერისი	178	16	1
ოქტომბერი	134	12	1
პირველი მაისი	202	18	1
ცხმორისი	462	42	1
წონიარისი	202	18	1

შუახევის მუნიციპალიტეტის 9 თემში – 11 განმანათლებელი:

შუახევის მუნიციპალიტეტი			
თემი	პროექტით მოცული ოჯახების რაოდენობა	მცირე ჯგუფების რაოდენობა	განმანათლებლების რაოდენობა
დაბა შუახევი	360	40	1
ბარათაული	234	26	1
დღვანი	236	26	1
ზამლეთი	536	60	2
ოლადაური	256	28	1
უჩამბა	375	42	1
შუბანი	194	22	1
წყალსაყარი	231	26	1
ჭვანა	491	55	2

ხულოს მუნიციპალიტეტის 13 თემში – 18 განმანათლებელი:

ხულოს მუნიციპალიტეტი			
თემი	პროექტით მოცული ოჯახების რაოდენობა	მცირე ჯგუფების რაოდენობა	განმანათლებლების რაოდენობა
დაბა ხულო	152	17	1
აგარა	121	13	1
დეკანაშვილები	768	85	2
დიდაჭარა	313	35	1
დიოკნისი	549	61	2
ვაშლოვანი	403	45	2
თხილვანა	217	24	1
რიყეთი	332	37	1
საციხური	173	19	1
სხალთა	451	50	2
ფუშრუკაული	180	20	1
ღორჯომი	612	68	2
ხიხაძირი	185	21	1

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი“
მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 41650, ფაქსი: 41640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებგვერდი: www.intellect.org.ge